ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1405148

ნომერი: AR1238437

თარიღი : 19.07.2014

გაცემის თარიღი : 25.07.2014

გაცნობის თარიღი : 27.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა I ხეივანი , II შესახვევი , (ნაკვ. 5/63) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ ფიფია პ/ნ 01026008690
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 79

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან აღნიშნული შენობა ექსპლუატაციაში მიღებული არ არის და შესაბამისად არც საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. საკითხის განხილვა I კლასის კუთხით შეუძლებელია.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად უნდა შევიდეს ცვლილება ძირ პროექტში, რისთვისაც საკითხი უნდა დააყენოთ შეთანხმებული არქიტექტურული პროეტის კორექტირების კუთხით.

იმ შემთხვევაში თუ ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში უნდა განაახლოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, სადაც დატანილი და ასახული იქნება აღნიშნული შენობა-ნაგებობა და წარმოადგინოთ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია/ბრძანება.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.